

ა(ა)იპ `ხაშურსერვისი“

თვითმცლელი სატვირთო ტრანსპორტით მძღოლთან ერთად
მომსახურების შესყიდვა

გამარტივებული ელექტრონული ტენდერი

სატენდერო დოკუმენტაცია

ქ. ხაშური

2015 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ----- 3
2. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება ----- 3
3. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი -----8

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

- 1.1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების შესაბამისად.
- 1.2. ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი
- 1.3. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.
- 1.4. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედ დასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულობა).
- 1.5. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

2 ანგარიშსწორების პირობები

- 2.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, ეტაპობრივად.
- 2.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის შემდეგ, გაწეული მომსახურების შესაბამისად, ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.
- 2.3. თუ პრეტენდენტი არ არის დღგ-ს გადამხდელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისი სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს დღგ-ს გარეშე, ხოლო თუ პრეტენდენტი არის დღგ-ს გადამხდელი, ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს შემოსავლების სამსახურიდან ცნობა დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ.

3 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება

- 3.1. ა(ა)იპ `ხაშურსერვისის“ მიერ გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს: **ქ. ხაშურიდან და ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში შემაგალი სოფლებიდან, ყოველდღიურად, საყოფაცხოვრებო ნარჩენების, ხაშურის ნაგავსაყრელზე გატანის უზრუნველყოფა - თვითმცლელი სატვირთო ავტოსატრანსპორტის, მძღოლთან ერთად, მომსახურების შესყიდვა.**
- 3.2. მომსახურება განისაზღვრება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, შემსყიდველი მიმწოდებელს უზრუნველყოფს შესასრულებელი სამუშაოსათვის საჭირო რაოდენობის საწვავით და საცხებ საპოხი მასალებით.
- 3.3 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში მყოფი სატვირთო თვითმცლელი (ტვირთის ტევადობა არანაკლებ 6მ³, არაუმეტეს 7მ³) ავტოსატრანსპორტით მომსახურება ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.
- 3.4. ავტოსატრანსპორტო საშუალებას უნდა მართავდეს კვალიფიციური და გამოცდილი მძღოლი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი კატეგორიის მართვის მოწმობა.
- 3.5. მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი კატეგორიის მართვის მოწმობები.
- 3.6. მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია მომსახურების გაწევასთან საჭირო ავტოსატრანსპორტო საშუალების, (ტვირთის ტევადობა არანაკლებ 6მ³, არაუმეტეს 7 მ³) ავტომანქანა 7 ერთელი) შესახებ **დანართი N 2-ის** შესაბამისად.
- 3.7. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში მყოფი სატვირთო თვითმცლელი ავტოსატრანსპორტო საშუალებით მომსახურების გაწევა.
- 3.8. იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია იტოვებს უფლებას პრეტენდენტს მოთხოვოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, ანგარიშგაქტურით (ინვოისით) ან/და სხვა ისეთი დოკუმენტაციით, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას. დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღეში;
- 3.9. პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს გასაწევი მომსახურების გაფასებას (ცხრილი N1) სატენდერო წინადადების ღირებულება უნდა მოიცავდეს ამ ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების სრულყოფილად გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს. ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ ანაზღაურდება. (გაფასებული ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენა სავალდებულოა, წინააღმდეგ შემთხვევაში პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას);
- 3.10. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საბანკო რეკვიზიტები შესაბამისი ბანკიდან :

3.11. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ორგანიზაციის რეკვიზიტები დანართი N 1-ის მიხედვით, სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მონაცემები ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ ან/და უფლებამოსილი პირის მიერ (უფლებამოსილი პირის შემთხვევაში ატვირთული უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება) და აიტვირთოს ელექტრონულ სისტემაში.

4 მიწოდების პირობები და ვადები

4.1. მიწოდების ადგილი: ქ. ხაშური და ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში შემავალი სოფლები.

4.2. მომსახურების გაწევის ვადა: 2016 წლის 01 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5. პრეტენდენტმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში უნდა ატვირთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- ა) რეკვიზიტები დანართი N-1-ის მიხედვით, სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მონაცემები ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში);
- ბ) საბანკო რეკვიზიტები შესაბამისი ბანკიდან;
- გ) სატენდერო დოკუმენტაციის გაფასების ცხრილი N1;
- დ) ინფორმაცია დანართი N2-ის მიხედვით;
- ე) მძღოლის შესაბამისი კატეგორიის მართვის მოწმობები.

5. დამატებითი ინფორმაცია

5.1 დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ მიმართონ ა(ა)იპ `ხაშურსერვისი“-ს სატენდერო კომისიის აპარატის წევრს ლევან კიკაძეს მობ: 551 255 223

პრეტენდენტი-----

სატენდერო წინადადების ფასი-----

ცხრილი №1

№	სატრანსპორტო საშუალება	ერთეული	ერთეულის მომსახურების ფასი თვეში (ლარი)	საერთო ღირებულება
1	2	3	4	5
1				
სულ ჯამი:				

შენიშვნა:

- მომსახურება განისაზღვრება კვირაში 6 (ექვსი) სამუშაო დღით.
- თუ გამარჯვებული პრეტენდენტი ხელშეკრულების გაფორმების მომენტში რეგისტრირებულ იქნება დღგ-ს გადამხდელად, შესაბამისი ცნობის წარმოდგენის შემდეგ დღგ-ს ოდენობა გათვალისწინებული იქნება ხელშეკრულების ღირებულებაში.

პრეტენდენტი-----

(ხელმოწერა, ბეჭედი)

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი: ტელ:

მობ:

ელექტრონული მისამართი E-mail:

საიდენტიფიკაციო კოდი:

ბანკის დასახელება და კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

პრეტენდენტი _____
(ხელმოწერა, ბეჭედი)

ინფორმაცია სატრანსპორტო საშუალების შესახებ

N	სატრანსპორტო საშუალების მარკა/მოდელი	ტრანსპორტის სარეგისტრაციო ნომერი	ტვირთის ოდენობა	შენიშვნა
1	2	3	4	5
				დამატებით წარმოდგენილ იქნას (სისტემაში აიტვირთოს) ცხრილში შეყვანილი სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური პასპორტები

პრეტენდენტი _____

(ხელმოწერა, ბეჭედი)

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი
ხელშეკრულება N

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად.

ქ. ხაშური

----- 2015 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ `ხაშურსერვისი“ (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი დირექტორის ნუგზარ ცხოვრებაძის სახით და მეორეს მხრივ, ----- (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი ----- სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, SPA----- გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დადებული წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
- 1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.
- 1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6. „შესყიდვის ობიექტი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
- 1.7. „ტექნიკური დავალება“ - SPA----- გამარტივებული ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების ობიექტი.

- 2.1. ხელშეკრულების ობიექტია: ქ. ხაშურიდან და ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში შემავალი სოფლებიდან, ყოველდღიურად, საყოფაცხოვრებო ნარჩენების, ხაშურის ნაგავსაყრელზე გატანის უზრუნველყოფად - თვითმცლელი სატვირთო ავტოტრანსპორტის, მძღოლთან ერთად, მომსახურების შესყიდვა.. (CPV კოდი: 60100000)
- 2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ----- ლარს.
- 3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს..

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

- 4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა: 2016 წლის 01 იანვრიდან - 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
- 4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: ქ. ხაშური და ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში შემავალი სოფლები.

5 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 5.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის ----- ჩათვლით. (ერთი თვით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას).

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველის მხრიდან
- 6.2. პუნქტით განსაზღვრული პირის/ების და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლ/ებ/ის ხელმოწერით.
- 6.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერ პირებს წარმოადგენს -----
- 6.3. მომსახურების გაწევის პარალელურად მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის საგადასახადო ანგარიშგაქტურა/სასაქონლო ზედნადები.

6.4. შემსყიდველის მხრიდან საგადასახადო ანგარიშფაქტურაზე/სასაქონლო ზედნადებზე ხელმოწერ პირს წარმოადგენს -
6.5. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით ხელშეკრულებაში შემსყიდველი მხარის წარმომადგენლები ხელის მოწერით ადასტურებენ, რომ მათი მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2015 წლის ----- N----- ხელშეკრულებაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

7. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

- 7.1. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.
- 7.2. შესყიდვის ობიექტს არ უნდა გააჩნდეს უფლებრივი ან/და ნივთობრივი ნაკლი, რომელიც აუარესებს მისი გამოყენების მაჩვენებელს.
- 7.3. შემსყიდველი ვალდებულია წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს ნაკლის აღმოჩენის შესახებ.
- 7.4. შეტყობინების მიღების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში აღმოფხვრას არსებული დეფექტები საკუთარი ხარჯით. თუ მიმწოდებელი ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებით მიღებული შეტყობინების შემდეგ არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის ხარჯით უზრუნველყოს არსებული დეფექტების გამოსწორება.
- 7.5. ხელშეკრულების ობიექტის დეფექტების გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება, როგორც ხელშეკრულების ობიექტის დეფექტების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით, ასევე აღნიშნული დეფექტების შედეგად შემსყიდველისა და მესამე პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

8. ანგარიშსწორების ფორმა

- 8.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ლარში. ეტაპობრივად.
- 8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის შემდეგ, **გაწეული მომსახურების შესაბამისად**, ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის/სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

- 9.1. შემსყიდველი მიმწოდებელს უზრუნველყოფს შესასრულებელი სამუშაოსათვის საჭირო რაოდენობის საწვავით და საცხებ-საპოხი მასალებით.
- 9.2. შემსყიდველს უფლება აქვს:
 - ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
- 9.3. შემსყიდველი ვალდებულია:
 - ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- 9.4. მიმწოდებელს უფლება აქვს:
 - ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
- 9.5. მიმწოდებელი ვალდებულია:
 - ა) შემსყიდველს გაუწიოს მომსახურება წარმოშობილი მოთხოვნილების შესაბამისად.
 - ბ) მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თვითმცლელი სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოყვანა ნივთობრივი ნაკლის გარეშე, ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში
 - გ) დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე.
 - დ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

- 10.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 10.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
- 10.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიაღდა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
- 10.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
- 10.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე

ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით, იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.6. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 10%-ის ოდენობით;

10.7. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

11.5. ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის დასრულებამდე ერთი თვით ადრე მაინც უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში წინადადება არ განიხილება. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

12.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

13. ფორს-მაჟორი

13.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

13.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

13.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

15.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

15.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს-----

15.3. თუ შესყიდვის ობიექტი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი პირის ან/და პირების დასკვნის საფუძველზე მოითხოვოს არსებული ხარვეზების გამოსწორება. ხარვეზების გამოსწორებამდე, შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანაცვლო ვალდებულებების შესრულებაზე, რის შესახებაც მიმწოდებელს ეცნობება წერილობით.

15.4. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

15.5. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების, ასევე მესამე პირის დაზიანებული ქონების ღირებულების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

16. სხვა პირობები

16.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯითა და რისკით.

16.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად (ორი „შემსყიდველს“, ერთი „მიმწოდებელს“), რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16.5. ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.

16.6. მხარეები სრულად არიან პასუხისმგებელი მათ მიერ ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების სისწორეზე. რეკვიზიტების ცვლილების თაობაზე მეორე მხარეს ეცნობება წერილობით.

16.7. იმ შემთხვევაში თუ მხარისათვის შეტყობინების გადაცემა ვერ ხერხდება ხელშეკრულებაში აღნიშნულ მისამართზე იმის გამო, რომ მისამართი არასწორადაა მითითებული, შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად და შეტყობინებაში მითითებული ვადების ათვლა განხორციელდება საფოსტო გზავნილის შესაბამის მისამართზე წარდგენის მომდევნო დღიდან.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ა(ა)იპ `ხაშურსერვისი“

ქ. ხაშური კოსტავას ქ №7

სს `ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი LBRTGE22

ა/ა GE54LB0115149214224000 საიდენტიფიკაციო კოდი 443856908

დირექტორი: ----- ნუგზარ ცხოვრებაძე

ბ.ა.

მიმწოდებელი: